



## მიმართვა

### გარემოსდაცვით ორგანიზაციებსა და საქართველოს ტყეების ბედი დაიტერესებულ ყველა მოქალაქეს

დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოსა და FAO-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად დაიწყო საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის პროგრამაზე მუშაობა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ უკვე მომზადდა “საქართველოს სატყეო პოლიტიკის საფუძვლები”.

სამინისტროსა და FAO-ს შორის არსებული შეთანხმების თანახმად, ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი. საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე კი სამინისტრომ თავი უნდა შეიკავოს სექტორში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებებისაგან.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამინისტრო კვლავ აპელირებს დოკუმენტზე “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით”. ეს დოკუმენტი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ა.წ. გაზაფხულზე. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საქართველოს ხელისუფლება სამაგალითოდ მიიჩნევს რუსეთის, ასევე აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში განხორციელებულ რეფორმას. დოკუმენტში შეთავაზებული სიახლეები გადმოღებულია რუსეთის ახალი ტყის კოდექსიდან.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში წარდგენილ იქნა არაერთი კრიტიკული შენიშვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით (WWF Caucasus, CENN, NACRES, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, საქართველოს მეტყვეთა საზოგადოება, მწვანე ალტერნატივა და სხვ.), სამინისტროს ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შემუშავდა ტყის სექტორის რეფორმა” და დოკუმენტი კი კვლავ უცვლელი სახით არის წარმოდგენილი და მოიხსენიება, როგორც კანონპროექტი.

აღნიშნულის გამო, გაგვიჩნდა ეჭვი, რომ სამინისტრო სატყეო სექტორის რეფორმირებისას იხელმძღვანელებს სწორედ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტით - ე.წ. “პოზიციით” და არა ეროვნულ კონსენსუსზე დამყარებული სატყეო პოლიტიკით.

ეს ეჭვი დადასტურდა სამინისტროს 2005 წლის ანგარიშის გაცნობის შემდეგ ([www.moe.gov.ge](http://www.moe.gov.ge)), სადაც მინისტრის შესავალ სიტყვაში აღნიშულია: “შემუშავდა სატყეო სექტორის რეფორმის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც 2006 წელს განხორციელდება ამ სექტორის რეფორმა”. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთავრობას არ აღეგულებს თავისი მოქალაქეების თვალსაზრისი. რაც შეეხება ეროვნული სატყეო პოლიტიკის შექმნის პროცესს, სამინისტრო დაინტერესებულია, რომ მან ფორმალური ხასიათი მიიღოს და წარმართოს უკიდურესად არაგამჭვირვალედ.

ასოციაცია მიმართავს გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და საქართველოს ტყეების ბედი დაიტერესებულ ყველა მოქალაქეს, მეტი აქტიურობა გამოიჩინონ საქართველოს ტყეების მომავლისათვის და შეეცადონ გავლენა მოახდინონ საქართველოს მთავრობის განზრახვაზე კერძო პირების ინტერესებს მთავრობის საქართველოს უნიკალური ბუნებრივი გარემოს მომავალი.

ასევე ვთხოვთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ბატონ ვიორგი პაპუაშვილს საჯაროდ გამოენმაროს ჩვენს მიმართვას.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

3 მაისი 2006 წელი

შენიშვნა: სხვადასხვა ორგანიზაციისა და ექსპერტის თვალსაზრისს სამინისტროს რეფორმის კონცეფციასთან დაკავშირებით გაეცნობით ვებ-გვერდზე [www.forestgeo.net](http://www.forestgeo.net); აქვე ბმულების საშუალებით შეგიძლიათ ნახოთ მასალები რუსეთის სატყეო რეფორმასთან დაკავშირებით: *Russian forest* და *Forest Forum Russia*